საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს
შპს ,,ალფა"-ს დირექტორის, ოთარ იველაშვილის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს ,,ალფა"-ს სამეწარმეო საქმიანობის სახეს წარმოადგენს მეორადი ზეთის გადამუშავება(ნარჩენების აღდგენა). საწარმოს ექსპლუატაციის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-73, 29/01/2020 -ით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს მიერ საწვავად გამოყენებული იქნება ბუნებრივი აირი. საწვავის აღნიშნული სახის გამოყენების შესაძლებლობა დამყარებული იყო იმ ინფორმაციაზე, რომ უახლოეს ხანებში მოხდებოდა რაიონის გაზიფიცირება. იმასთან დაკავშირებით, რომ გაზიფიცირების პროცესი ჭიანურდება, რაც წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს, ჩვენს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბუნებრივი აირის ჩანაცვლების თხევადი აირით, რისთვისაც საწარმო გეგმავს 3,5 ტონა ტევადობის თხევადი აირის მიწისზედა საცავის მოწყობას. აღნიშნული ღონისძიებით ადგილი არ ექნება საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, მათ შორის, წარმადობის გაზრდას, ხოლო რაც შეეხება გარემოში ემისიებს, საწვავად თხევადი აირის მოხმარების შემთხვევაში გარემოში ემისიები არ გადააჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ზღვრულად დასაშვები გაფქვევების ნორმებს, ამასთან, წლის განმავლობში გამოყენებული იქნება საწვავის მხოლოდ ერთი სახე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:
1.შპს ,,ალფა"-ს სკრინინგის ანგარიში - 1ეგზ, ნაბეჭდი ვერსია;
2.CD – 1 ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი, /ოთარ იველაშვილი/
6.04.2020

საკონტაქტო ინფორმაცია:
იურიდიული მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება, შპს ,,ალფა"
ტელ. 5 95 71 37 37

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5745
"07" 04 2020
1/CD
02